

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	3
1. კორპორატიული ინფორმაცია	3
2. მომზადების საფუძველი	3
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	8
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	8
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	8
8. ძირითადი საშუალებები	9
9. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024 (არააუდიტირებული)	2023 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	15,852,708	15,284,847
მომსახურების გაწევისთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	6	(12,966,381)	(12,869,901)
საერთო მოგება		2,886,327	2,414,946
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,638,139)	(1,628,134)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(3,709)	(-)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,244,425	786,812
საპროცენტო შემოსავალი		16,731	16,147
საპროცენტო ხარჯი		(8,459)	(-)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, ნეტო		(12,626)	(42,325)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		1,240,071	760,634
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,240,071	760,634

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2025 წლის 23 სექტემბერი

გივი თხელიძე
დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	8	734,199	266,935	272,147
არამატერიალური აქტივები		17,435	20,464	5,270
სულ გრძელვადიანი აქტივები		751,634	287,399	277,417
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	9	147,060	434,979	498,238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,629,429	1,239,502	1,139,061
წინასწარ გაწეული ხარჯები		621,833	27,318	632,496
გაცემული სესხები		157,184	158,233	
მარაგები		68,766	20,946	31,263
საგადასახადო აქტივი		64,011	49,841	34,086
სულ მიმდინარე აქტივები		2,688,283	1,930,819	2,335,144
სულ აქტივები		3,439,917	2,218,218	2,612,561
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		50,000	50,000	50,000
გაუნაწილებელი მოგება		2,216,484	2,014,805	2,140,479
სულ კაპიტალი		2,266,484	2,064,805	2,190,479
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,036,140	153,413	422,082
ოვერდრაფტი		137,293		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,173,433	153,413	422,082
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,439,917	2,218,218	2,612,561

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
1 იანვარი, 2023	50,000	2,140,479	2,190,479
წმინდა მოგება	-	760,634	760,634
გადახდილი დივიდენდი		(886,308)	(886,308)
31 დეკემბერი, 2023	50,000	2,014,805	2,064,805
წმინდა მოგება	-	1,240,071	1,240,071
გადახდილი დივიდენდი		(1,027,842)	(1,027,842)
წინა წლის საკურსო სხვაობის კორექტირება		(10,550)	(10,550)
31 დეკემბერი, 2024	50,000	2,216,484	2,266,484

1. კორპორატიული ინფორმაცია

„ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2004 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202224850.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სატრანსპორტო და საექსპედიციო მომსახურება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბის რაიონში, ჩიქობავას ქ.№24/11

კომპანიის მეწილეები: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 29.33% წილს ფლობდა ირაკლი იაშვილი, 11,376% ანა ლეჟავა, 11,376% ნათია ჭელიძე-ლეჟავა, 5,688% ლილი მეგრელიშვილი, 20.44% მიხეილ იაშვილი, 10.67% კონსტანტინე მესხი და 11.12% დავით დავითიძე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანიამ გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2023 წლის 1 იანვარი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შეკეთების და რემონტის ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე გაითვალისწინება კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ. როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს

შესყიდვის ყველაწარმოებელი დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს სამუშაო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	2024	2023
შემოსავალი გადაზიდვებიდან	15,852,708	15,284,847
სულ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	15,852,708	15,284,847

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები

	2024	2023
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მასალის დანახარჯები	10,173,450	9,912,722
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხელფასი	2,289,226	2,418,663
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული რემონტის ხარჯი	503,705	538,516
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	12,966,381	12,869,901

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,131,858	1,081,522
რემონტის ხარჯი	111,143	196,984
ცვეთა და ამორტიზაცია	47,038	42,580
საკონსულტაციო ხარჯები	72,209	71,954
საიჯარო ქირა	56,109	59,790
ბანკის საკომისიო	11,144	10,942
ოფისის ხარჯი	7,768	11,518
საწვავის ხარჯი	1,701	-
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	199,223	152,844
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,638,139	1,628,134

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8.ძირითადი საშუალებები

	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება			
1 იანვარი, 2023	120,628	808,751	929,378
შემოსვლა წლის განმავლობაში	33,185	23,655	56,840
გასვლა	-3,625	-13,671	-17,296
31 დეკემბერი, 2023	150,187	818,735	968,922
შემოსვლა წლის განმავლობაში	1,259	526,903	528,162
გასვლა		-42,431	-42,431
31 დეკემბერი, 2024	151,446	1,303,027	1,454,653
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი, 2023	-98,779	-553,182	-651,961
წლის დარიცხული ცვეთა	-8,015	-34,576	-42,591
გასვლები	3,024	10,006	13,030
31 დეკემბერი, 2023	-103,770	-577,752	-681,522
წლის დარიცხული ცვეთა	-6,044	-40,733	-46,777
გასვლები	(-)	25,280	25,280
31 დეკემბერი, 2024	-109,814	-593,467	-703,281
ნარჩენი ღირებულება			
1 იანვარი, 2023	21,848	255,569	277,417
31 დეკემბერი, 2023	46,416	240,983	287,400
31 დეკემბერი, 2024	41,632	709,560	751,634

9.ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	6,733	331,017	393,423
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	102,709	93,700	95,801
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	37,618	10,262	9,014
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	147,060	434,979	498,238

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,629,429	1,239,502	1,139,061
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,629,429	1,239,502	1,139,061

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,036,140	153,413	422,082
ოვერდრაფტი	137,293	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,173,433	153,413	422,082

12. ბალანსის შემდგომი მოვლენები

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისთვის არ არსებობს ბალანსის მაკორექტირებელი მოვლენები, ხოლო მომავალი ეფექტების წინასწარ დადგენა შეუძლებელია. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას, შესაძლო ეფექტების შესამსუბუქებლად.